ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 24-64

"13" სექტემბერი 2016 წ.

ქ. თბილისი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 103-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის № 28-117 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 103-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის № 28-117 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 01/12/2015 სარეგისტრაციო კოდი: 020080160.35.101.016231) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ";

2. დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს.";

3. დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი, დანართი № 1-ის შესაბამისად;“;

4. დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული წესის (დანართი №1) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის” 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“;

5. დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული წესის (დანართი №1) მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თანამშრომელი, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის” 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის მიზნით, უფლებამოსილია, კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება. თანამშრომელი ადგილზე განიხილავს სამართალდარღვევის საქმეს და დამრღვევს ადგილზე შეუფარდებს სახდელს (ჯარიმას), მიუხედავად იმისა, სამართალდამრღვევი ეთანხმება თუ არა მის მიმართ გამოყენებულ პასუხისმგებლობის ზომას.

2. სამართალდამრღვევის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი პირის იდენტიფიცირება ვერ ხდება სააგენტოს ცხოველთა აღრიცხვის ერთიან მონაცემთა ბაზაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი თანამშრომელი უფლებამოსილია, სამართალდამრღვევის იდენტიფიცირების მიზნით, გამოითხოვოს და მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული პირის პერსონალური მონაცემები. ამ ფორმით პირის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი თანამშრომელი უფლებამოსილია გამოიძახოს საპატრულო პოლიცია.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 103-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის № 28-117 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) წარდგენის მიზეზი/მისი ძირითადი არსი:

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 103-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-117 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მომზადებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო), როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრული, უფლებამოსილი ორგანოს ფუნქციებისა და კომპეტენციების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით („ძაღლისა და კატის ყოლის წესის დარღვევა") გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილების განხორციელება სააგენტომ პრაქტიკულად დაიწყო 2016 წლის 15 თებერვლიდან და 1 აგვისტოს მდგომარეობით შედგენილია 437 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

აღსანიშნავია, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს № 28-117 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სააგენტოს თანამშრომელი ადგილზე განიხილავს სამართალდარღვევის საქმეს და დამრღვევს ადგილზე შეუფარდებს სახდელს (ჯარიმას), მიუხედავად იმისა, სამართალდამრღვევი ეთანხმება თუ არა მის მიმართ გამოყენებულ პასუხისმგებლობის ზომას". ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „თუ სამართალდამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ, საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსებმა თანამშრომელმა უნდა გამოიძახოს პოლიცია, სამართალდამრღვევის იდენტიფიცირების (სახელის, გვარისა და საცხოვრებელი მისამართის დადგენის) მიზნით".

მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურმა დეპარტამენტმა უზრუნველყო სააგენტოს დაშვება შსს-ს სამსახურებრივ ვებ-გვერდზე და პაროლის მაგენერირებელი მოწყობილობის („დიჯიპასი") რეგისტრაცია, აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა აძლევს სააგენტოს მხოლოდ გამოწერილი საჯარიმო ქვითრების შსს-ს ერთიან ბაზაში რეგისტრაციისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესაძლო რეციდივის გამოვლენის შესაძლებლობას. რაც შეეხება სამართალდამრღვევის იდენტიფიკაციას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის შემთხვევაში (რასაც ხშირად აქვს ადგილი პრაქტიკაში), აღნიშნული პროცედურის ჩატარება საპატრულო პოლიციის დახმარების გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელია (ამასთან, აღნიშნული პროცედურა დადგენილია ზემოხსენებული ნორმატიული აქტითაც).

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ეტაპზე შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაუწია სააგენტოს შესაბამისი ქმედითი დახმარება სამართალდამრღვევის იდენტიფიკაციის მიზნით (მსგავსი ფორმით განხორციელდა 47 სამართალდამრღვევის იდენტიფიცირება), ცხადია, რომ საპატრულო ეკიპაჟის გამოცხადება ადგილზე დაკავშირებულია გარკვეულ დროსთან, რაც, ბუნებრივია, მოითხოვს დასაჯარიმებელი მოქალაქის შეყოვნებას საპატრულო ეკიპაჟის მისვლამდე და ამდენად, არაეფექტური მექანიზმია და გარდა ამისა, დამატებით იხარჯება როგორც სააგენტოს, ისე საპატრულო პოლიციის ადმინისტრაციული რესურსი.

აღნიშნული მიმართულებით საქმიანობის ოპტიმიზაციის, კერძოდ სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსთვის სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით პიროვნების იდენტიფიცირების უფლებისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მიღების მიზნით, საჭიროა წარმოდგენილ ნორმატიულ აქტში ცვლილება იმისათვის, რომ ერთი მხრივ, სააგენტოს მხრიდან პერსონალურ მონაცემთა დამუშავება შეესაბამებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, ზუსტად პასუხობდეს საქმიანობის პროცესში წარმოშობილ საჭიროებებს და მეორე მხრივ, სააგენტოს მიერ სამართალდარღვევაზე რეაგირების მექანიზმი იყოს ეფექტური.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული შინაური ცხოველების ყოლის წესების დაცვის ქმედითი მონიტორინგის უზრუნველყოფის ხელშეწყობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსთვის პიროვნების იდენტიფიცირების უფლების მინიჭებისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო.

დ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.